ჟურნალის „ხმა ქართველი ქალისა“ მეორე ნომრის შესახებ

სიხარულით გაცნობებთ ჩვენი ყოველწლიური სამეცნიერო-პუბლიცისტური ჟურნალის მეორე ნომრის გამოცემას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა. კიდევ ერთხელ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ციფრული ჟურნალი საქართველოში პირველი გამოცემაა ფემინიზმისა და გენდერის კვლევებში და ის ადგილობრივი თემატური ცოდნის წარმოებასა და გავრცელებას ემსახურება.

მეორე ნომერი, პირველის მსგავსად, შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სხვადასხვა პრიზმიდან განიხილავს გენდერის, ძალაფულებისა და იერარქიების საკითხებს. თამარ ცხადაძე თავის სტატიაში ბრაზის პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობის შესახებ საუბრობს ფემინისტური თეორიების ჭრილში. ანა რეხვიაშვილი და ლიკა ჯალაღანია ქვიარ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას. რეხვიაშვილი 2013 წლის 17 მაისის მოვლენებს აანალიზებს ტრანსნაციონალური ფემინისტური პერსპექტივიდან, ჯალაღანია კი ნეოლიბერალური სახელმწიფოსა და ქვიარ აქტივიზმის ურთერთიმიმართებებს განიხილავს.

აია ბერაიას ინტერესი ამჯერად საბჭოთა წარსულზე, ქალთა შრომასა და სექსუალობაზე შეჩერდა. გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა კი ქართული ფემინიზმის ისტორიისკენ მიმართეს ყურადღება. ლანა მუშკუდიანმა და ნინო ცქიფურიშვილმა ადრეულ საბჭოთა ქართულ პრესაში 8 მარტის დღესასწაულის გაშუქება შეისწავლეს, მარიამ ჭანჭალეიშვილმა ფემინისტისა და მწერლის, ლიდია მეგრელიძის ქალთა საკითხებისადმი დამოკიდებულების ანალიზი შემოგვთავაზა, სალომე ქინქლაძემ კი კვლევის ფოკუსი მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ფემინისტური ნააზრევისკენ მიმართა - მან ქალის, როგორც საკუთრების ფენომენი მიმოიხილა ფემინისტების პუბლიცისტურ ნაშრომებში.

ასე რომ, ამჯერადაც, ჩვენი ჟურნალის ნომერი თემატურად მრავალმხრივი გამოდგა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით ავტორებს და გულმხურვალედ ვაფასებთ მათ თავდადებულ, თითქმის მოხალისეობრივ შრომას.

ასევე დიდ და გულწრფელ მადლობას ვუხდით ჩვენ ერთგულ მხარდამჭერებს: ქალთა ფონდს საქართველოში და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

სარედაქციო კოლეგია